


"შპაკი" თაბაშირისა და პერლიტის ბაზაზე დაფუძნებული ბოლო პირის სატენი



პროდუქტის შესახებ

თაბაშირზე დაფუძნებული მოსაპირკეთებელი მასა, გამდიდრებული დანამატებით, რომლებიც აძლიერებენ პროდუქტის გამოყენების შესაძლებლობებს, მაღალი წებოვნების თვისებებით, თეთრი ფერის. შეესაბამება ASZ 046 (TS 370).

გამოყენების სფეროები

საბაზისო სატენი გამოიყენება:

- შენობის შიგნით ჭერისა და კედლის მოსაპირკეთებლად, საბოლოო ფენად;

- როგორც საბოლოო ფენა, ბეტონის, გაზობეტონის, ბლოკის, აგურისა და წინასწარ AĖDAĖ astar პრაიმერით ან თაბაშირის ფილის დასამუშავებლად (ჭერსა და კედლებზე).

უპირატესობები

- “AĖDAĖ üzlük” ქმნის სწორ, გლუვ, უდეფექტო ზედაპირს;
- არ მტკვრდება;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი;
- უვნებელი ნარევი ადამიანის ორგანიზმისათვის;
- ადვილად მზადდება და გამოიყენება;
- შემადგენლობას არ ემატება ПВА წებო და სხვა დანამატები;
- გამოიყენება უდანაკარგოდ და ანიჭებს ოსტატს ესთეტიურ კმაყოფილებას;
- არ იზზარება;
- მყარი და ელასტიური.

მოხმარების წესები

ზედაპირის მომზადება. ყურადღება გაამახვილეთ დასამუშავებელი ზედაპირის მდგომარეობაზე, რომელიც უნდა იყოს მყარი, მშრალი, სუფთა და სწორი ზომების, ზედაპირი უნდა გაიწმინდოს ზეთოვანი და პარაფინის ლაქებისაგან, რომელიმაც შესაძლოა შეამციროს ზედაპირის წებვადობა. საბოლოო ნაერთის გამოყენებამდე კედლები უნდა იყოს დამუშავებული “AĖDAĖ astar”-ის პრაიმერით. დასამუშავებელი ზედაპირი უნდა დანოტივდეს ან დამუშავდეს ბაზირებული Binmader ან ანალოგიური პროდუქტით.

ნარევის მომზადება. 10 კგ მშრალი ნარევი “AĖDAĖ üzlük” ეტაპობრივად შეურიეთ 6,0-6,5 ლიტრ წყალში და 3-4 წუთიანი ლოდინის შემდეგ აურიეთ მიქსერით ან მექანიკური ინსტრუმენტით, ერთგვაროვანი ნაერთის მიღებამდე. შერევის შემდეგ არ დაამატოთ მშრალი მასა ან წყალი. დაიტანეთ “AĖDAĖ üzlük” საბოლოო ნაერთი “AĖDAĖ astar”-ის პრაიმერით დამუშავებულ ან თაბაშირის ფილის ზედაპირზე.

გამოყენება. მზა ნარევი დაიტანეთ ზედაპირზე შპატელით. მომზადებული ნარევი გამოიყენეთ 130-150 წთ-ის მანძილზე. არ გამოიყენოთ ნარევი, რომელსაც გამოყენების დრო გაუვიდა ან ზედაპირზე გაიკეთა მყარი ბურთულები.

რეკომენდაციები. საბოლოო პირის ნაერთის “AĖDAĖ üzlük” გამოყენებისას გარემოსა და ზედაპირის ტემპერატურა უნდა იყოს მინიმუმ +5°C. გარემო ტემპერატურის +5°C ნაკლებობის ან +30°C მეტობისას უნდა უზრუნველყოთ სათანადო ტემპერატურა. ცხელ (+30°C-ზე მეტ), წვიმიან ან ქარიან ამინდში არ გამოიყენოთ ნივთიერება. გამოყენებული ჭურჭელი და ხელსაწყოები უნდა იყოს სუფთა. დაბინძურებული ჭურჭლისა და ხელსაწყოების გამოყენება ახანგრძლივებს მოხმარების დროსა და ამცირებს ნარევის ხარისხს.

გამოყენების შემდეგ ჭურჭელი და ინსტრუმენტები გარეცხეთ წყლით. დამუშავებულ ზედაპირზე არ უნდა დარჩეს რკინის შპატელის კვალი.

ტექნიკური მონაცემები

| | |
|---|---|
| ფერი | თეთრი |
| გამოყენების ტემპერატურა | +5°C ÷ +30°C |
| მინიმალური სისქე გამოყენებისას | 1 მმ |
| გამოყენების ხანგრძლივობა | 130-150 წთ. |
| გამყარების ხანგრძლივობა | 300-320 წთ. |
| თანაფარდობა წყალი/მშრალი ნარევი | 6,5-7,0 ლ წყალი / 10 კგ მშრალი ნარევი |
| შრობის ხანგრძლივობა | დაახლოებით 2 დღე |
| დაჭიმვის სიმტკიცე: მოხრისას შეკუმშვისას | 2,4 MPa 4,7 MPa |
| სიმკვრივე: მზა თხევადი ნარევი მშრალი ნარევი | 1,5 კგ/ლ 0,72 კგ/ლ |
| ზედაპირის სიმტკიცე | 57 Shore D |
| შეფუთვა | 25 და 30 კგ ლამინირებული პოლიპროპილენის ტომრები, 25 კგ ტომრები 2 ან 3 შრიანი მძლავრი ქაღალდი და - ერთშრიანი პოლიეთილენი |

ხარჯვის ნორმა

სწორი ზედაპირის, სისქით 1 მმ, გამოიყენება 1 კგ პროდუქტი. 30-კგ-იანი ტომრით "AGDAĞ üzlük" შეიძლება დამუშავდეს 30 მ² ზედაპირი.

შენახვის ვადა და წესები

შენახვის ვადაა 6 თვე. უნდა ინახებოდეს მშრალ და დახურულ საწყობებში გაუხსნელი ტომრებით, შეფუთული ტომრების ზედაპირის არ შეხების პირობით, ხის პალეტზე არაუმეტეს 10 მწკრივად.

გაფრთხილება

- ყურადღება მიაქციეთ გამოყენებული წყლისა და ჭურჭლის სისუფთავეს;
- არ დაუმატოთ არანაირი ნივთიერება მზა პროდუქტს;
- არ დაუმატოთ ПВА წებო;
- ზემოთხსენებული მაჩვენებლები მიღებულია ლაბორატორიული კვლევების შედეგად, გარემოში ტემპერატურით $+23^{\circ}\text{C} \pm 2^{\circ}\text{C}$ და ტენიანობით $50\% \pm 5\%$. მონაცემები შეიძლება შეიცვალოს გარემოპირობების შესაბამისად.

გარანტია და ტექნიკური მხარდაჭერა

- ტექნიკურ მონაცემებში მოწოდებული ინფორმაცია ეფუძნება მეცნიერულ და პრაქტიკულ ცოდნას;
- პროდუქციის შესაბამის ტექნიკურ პირობებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია კომპანია "Матанат А"
- კომპანია "Matanat A", გარდა კომპანიის სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარებული სამუშაოებისა, არ არის პასუხისმგებელი იმ პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სხვა მომხმარებლების მიერ აპლიკაციის წესების დარღვევით შესრულებული სამუშაოს დროს.;
- კომპანია იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის გამო;
- ტექნიკური მხარდაჭერისა და დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ კომპანია "Matanat A"-ს!